

დებულება

ქართული ენის დღე-კალიგრაფიის კონკურსი

1. ზოგადი დებულებები

1. წინამდებარე დებულება განსაზღვრავს ქალაქ ქუთაისის საჯარო და კერძო სკოლებში კონკურსის „ქართული ხელნაწერი“ ჩატარების წესსა და პირობებს, მიზნებს, ამოცანებს და მოთხოვნებს, გამარჯვებულების დაჯილდოებას და ადმინისტრაციული უზრუნველყოფის საკითხებს.

2. კონკურსის მიზანი

2.1. კონკურსის მიზანია,

ქართული კულტურის მნიშვნელოვანი მონაპოვრის - ქართული დამწერლობის, კალიგრაფიული ხელოვნებისა და ანბანის პოპულარიზაცია, ხელით წერის კულტურის განვითარება ახალგაზრდა თაობაში, ასევე, სხვა დაინტერესებულ პირებში;

კონკურსანტების შემოქმედებითი უნარის წარმოჩენა;

ობიექტური და გამჭვირვალე შეფასების სისტემის გამოყენებით ნიჭიერი მოსწავლეების და მასწავლებლების გამოვლენა და წახალისება;

2.2. კონკურსის სამიზნე აუდიტორია:

ქალაქ ქუთაისის საჯარო და კერძო სკოლების - / IX-XII / კლასის მოსწავლეები; საჯარო და კერძო სკოლების პედაგოგები და დირექტორები.

3. კონკურსის ორგანიზება და ჩატარების პირობები

3.1. კონკურსის ორგანიზატორია ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია, ხოლო პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის კულტურის, სპორტის, განათლებისა და ახალგაზრდობის საქმეთა განყოფილება უზრუნველყოფს:

ამ დებულებით დადგენილი წესის შესაბამისად;

სხვა ისეთი პირობების შექმნას, რომელიც ხელს შეუწყობს კონკურსის ჩატარებას;

3.2. კონკურსის პირობების დაცვა და შესრულება სავალდებულოა ყველასათვის;

3.3. კონკურსი ჩატარებულად ჩაითვლება არანაკლებ 30 კონკურსანტის მონაწილეობის შემთხვევაში;

❖ კონკურსის ჩატარებას უზრუნველყოფს ააიპ ქ.ქუთაისის კულტურულ, სახელოვნებო, საგანმანათლებლო დაწესებულებათა გაერთიანება.

4. კონკურსის ჩატარების ეტაპები და ვადები:

4. კონკურსი ჩატარდება ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მასშტაბით და მოიცავს ოთხ ეტაპს:

I ეტაპი - განაცხადების ელექტრონულად მიღება - 2019 წლის 27 მარტამდე;

II ეტაპი - კონკურსის ჩატარდება - 2019 წლის 4 აპრილს;

III ეტაპი - კონკურსის შეჯამება, გამარჯვებულების გამოვლენა - 2019 წლის 5 აპრილს;

IV ეტაპი - გამარჯვებულების დაჯილდოება - 2019 წლის 14 აპრილი.

5. კონკურსის ჩატარების ფორმატი:

5.1. კონკურსის ჩატარების ადგილი ქალაქი ქუთაისი, №1 საჯარო სკოლა, მისამართი: რუსთაველის გამზირი №7;

5.2. კონკურსში მონაწილეობა უფასოა;

5.3. კონკურსის II ეტაპი ჩატარდება 2019 წლის 4 აპრილს, 16⁰⁰საათზე. მონაწილეთა რეგისტრაცია - კონკურსის დაწყებამდე ნახევარი საათით ადრე;

5.4. საკონკურსო დავალებების შესასრულებლად კონკურსანტებს ეძლევა 2/ორი/ ასტრონომიული საათი;

5.5. კონკურსანტებს ადგილზე მიეცემათ საკონკურსო დავალებები ჯგუფების მიხედვით. დავალება მოიცავს:

ა. საქართველოს დამსახურებულ მხატვარ ოთარ ქანდარიას მიერ ქართული ანბანის ასო-ბგერებზე შექმნილ ორნამენტულ-დეკორატიული ნამუშევრის ასლის გაკეთება /მთავარი დავალება/.

მთავარი დავალების შესრულებისას მოცემული დავალებებიდან კონკურსანტები ირჩევენ და წერენ მათთვის სასურველს, მხოლოდ ერთს;

ბ. ნაბეჭდი პროზაული ან პოეტური ტექსტის მხედრული კალიგრაფიით გადაწერა თავიანთი შემოქმედებითი გემოვნების მიხედვით /დამატებითი დავალება/;

დამატებითი დავალების შესრულებისას კონკურსანტებს აქვთ თავისუფლება ნამუშევრის გაფორმებასა და კომპოზიციის ფურცელზე გადანაწილებაში.

6. კალიგრაფიული ნაშრომების შეფასების კრიტერიუმები:

6.1. კომპოზიციის სრულყოფილად აგება (ფურცლის ერთიანობაში აღქმა, მინდვრები, აბზაცები); წერის სტილისა და საწერი არეების ერთნაირად დაცვა დასაწყისიდან დასასრულამდე);

6.2. ტექსტის ლამაზად და გარკვევით შესრულება, იმისათვის რომ კარგად იკითხებოდეს. კალიგრაფიული ტექსტის წერისას სასურველი არ არის ასო-ნიშნების ზედმეტი სტილიზაცია, დახრილობა;

6.3. ასო-ნიშნების ზომისა და ფორმის ერთიანი სტილის დაცვა;

6.4. ნაწერში ასო-ნიშნებისა და გადაბმების ხაზების სისწორე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

6.5. დედნიდან მაქსიმალური სიზუსტით, შეცდომის გარეშე გადმოწერა;

6.6. ტექსტისთვის კალმის ფერი უნდა იყოს შავი. მწვანე და ლურჯი, მხოლოდ ორნამენტებისთვის. წითელი ფერი - განსხვავებული ადგილებისა და საზედაო ასოს გასაფორმებლად/ და სხვა;

6.7. კალამი 4 ფერის (შავი, წითელი, ლურჯი, მწვანე). არ უნდა იყოს ბურთულიანი, წვერი 4 მმ;

6.8. ქაღალდი - სავარჯიშოდ, ჩვეულებრივი ქსეროქსის ქაღალდი; საწერად - 120 გრამიდან 180 გრამამდე, A-4;

6.9. საწერ საშუალებებს უზრუნველყოფს ორგანიზატორი; /შესაძლებელია კონკურსანტმა ისარგებლოს საკუთარი საწერი საშუალებებით, სახაზავით, საშლელით/.

7. დროებითი კომისიის შემადგენლობა და უფლებამოსილება

7.1. დროებითი კომისიის შემადგენლობას ამტკიცებს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი, შესაბამისი ბრძანებით;

7.2. დროებითი კომისია შედგება 7 წევრისაგან;

7.3. საკონკურსო კომისიის შემადგენლობაში შედიან: მერიის კულტურის, სპორტის, განათლების, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის თანამშრომლები, განათლების სფეროს წარმომადგენლები, მოწვეული სპეციალისტები;

7.4. კომისიის მუშაობას ხელმძღვანელობს კომისიის თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში კომისიის თავმჯდომარის დავალებით კომისიის ერთ - ერთი წევრი;

7.5. საქმიანობაში კომისია ხელმძღვანელობს ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ორგანული კანონით, წინამდებარე დებულებით და სხვა სამართლებრივი აქტებით;

7.6. დროებითი კომისია უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება, თუ მას ესწრება კომისიის წევრთა ნახევარზე მეტი;

7.7. გადაწყვეტილება მიღებულად ჩაითვლება, თუ მას ხმა მისცა კომისიის დამსწრე წევრთა ნახევარზე მეტმა. ხმების თანაბრად გადანაწილების შემთხვევაში გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა;

7.8. დროებითი კომისია გამოავლენს გამარჯვებულ კონკურსანტებს;

7.9. კომისიის სხდომა ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე და დამსწრე წევრები. კომისიის წევრს აქვს უფლება, თავისი განსხვავებული აზრი დაურთოს ოქმს, რის შესახებაც ოქმში კეთდება აღნიშვნა;

7.10. დროებითი კომისიის გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

8. გამარჯვებულის გამოვლენა და დაჯილდოება

8.1. კონკურსის შედეგად გამოვლინდებიან I, II და III ადგილზე გასული კონკურსანტები. /მასწავლებლები და მოსწავლეები ცალ-ცალკე და „ჟიურის სიმპატია“;

8.2. კონკურსში მონაწილეთა მიერ შექმნილი საუკეთესო კალიგრაფიული ნაშრომები გამოიფინება 2019 წლის 14 აპრილს, შემდგომ გადაეცემა გამარჯვებული მონაწილის სკოლას;

8.3. გამარჯვებულების დაჯილდოება გაიმართება ოთარ ქანდარიას სალონში. გამარჯვებულებს /მოსწავლეებს და მასწავლებლებს/ გადაეცემათ სერთიფიკატები და ფულადი ჯილდო: I ადგილი - 300ლარი; II ადგილი - 250ლარი; III ადგილი - 200 ლარი; „ჟიურის სიმპატია“ - 150 ლარი. /სულ 10 კონკურსანტი/;

ასევე, პირველ ადგილზე გასულ მასწავლებელს და მოსწავლეს გადაეცემა ოთარ ქანდარიას პრიზი.

9. კონკურსის მონაწილის მოვალეობები


კონკურსის მონაწილე ვალდებულია:

დროულად გამოცხადდეს კონკურსზე. რეგისტრაციის დასრულების შემდეგ კონკურსანტი კონკურსზე არ დაიშვება;

შეასრულოს კონკურსის ორგანიზატორების ცალკეული მითითებანი და ამ წესით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებანი.

პროექტის ავტორი და საკონტაქტო პირი: მაყვალა ქობულაძე, ელ-ფოსტა: makvalakobuladze@gmail.com ააიპ ქ.ქუთაისის კულტურულ, სახელოვნებო, საგანმანათლებლო დაწესებულებათა გაერთიანების განათლების განყოფილების მთავარი სპეციალისტი.

გიორგი ჭიღვარია



ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი